



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011759799819520

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

328990

17 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადგილზე დათვალიერების დანიშნისა და გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების შესახებ

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება 01.11.05.011.304.01.213 და 01.11.05.011.301.01.213 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მონაცემების კანონიერების შესწავლის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 13 აგვისტოს № 264093 გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია გადაწყვეტილება დაეფუძნოს იმ გარემოებებს, ფაქტებს, მტკიცებულებებს ან არგუმენტებს, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამასთან, 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი.

ადმინისტრაციული კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით **2020 წლის 30 სექტემბერს 10:00 საათზე** დაინიშნოს ადგილზე დათვალიერება.

ადგილზე დათვალიერების ობიექტია 01.11.05.011.304.01.213 და 01.11.05.011.301.01.213 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთები.

ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურისა და გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები, სალომე აბუადაძე (პირადი ნომერი 21001039621) და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენელი.

დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის, 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, 194-ე მუხლისა და 195-ე მუხლის საფუძველზე,

გ ა დ ა წ ვ ე ტ ი ა :

1. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის მიზნით, **2020 წლის 30 სექტემბერს 10:00 საათზე** დაინიშნოს 01.11.05.011.304.01.213 და 01.11.05.011.301.01.213 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების ადგილზე დათვალიერება;

2. ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ შემდეგი პირები: საჯარო რეესტრის ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურისა და გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები, სალომე აბჟანდაძე (პირადი ნომერი 21001039621) და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენელი;

3. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;


4. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

5. აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ ადგილზე დათვალიერებაზე მოწვეულ პირებს;

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე